



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აჩაქველი

აჩაქველი, შუა საუკ. ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი. მდებარეობს დუშეთის რ-ნში, ფშავის არაგვისა და მთიულეთის არაგვის ხეობებს შორის ხორხის ხეობის სათავეებში, სოფ. გემო ხორხის მახლობლად. თითქმის მიუვალ ალპ. ზონაში ციხის აგება, როგორც ჩანს, უნდა განხორციელებულიყო სახელმწ. დონეზე და ისეთი გარდაუვალი აუცილებლობით იყო გამონჭვეული, როგორცაა: ხორხის ხეობაზე ბატონობა, იქ გამავალი გზებისა და საძოვრების კონტროლი, ჟინვალის „ქვეყნის“ დაცვა ჩრდ-იდან და სხვ. კომპლექსი ამჟამად ძლიერ დაზიანებულია. კონუსური მთის მაღალ თხემზე აღმართულ მძლავრ ციხესიმაგრეს გეგმით ოვალური, კონტრფორსებით გამაგრებული გალავანი არტყია. კომპლექსში ყველაზე შემალღებულ ადგილზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-საც აღმ-ით ნალისებრი მოყვანილობის აფსიდი აქვს. ეკლესიის მახლობლად სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებია, რ-თა შორის ყურადღებას იქცევს აღმ-ით მდებარე დიდი, თაღოვანი, შიგნიდან შელესილი სათავსი თავისი ჩასასვლელი კიბითა და პატარა თახჩით სამხრ.-დას. კედელში. ციხესიმაგრის კარიბჭე მონყობილი იყო გალავნის შედარებით ნაკლებად დაცულ ნაწილში, მასთან მისასვლელი დაახლ. 25 მ დამორებით საგანგებოდ მონყობილი თხრილით იყო გადაკეტილი. კომპლექსი ძირითადად მოთეთრო-მოყავისფრო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ნატეხებითაა ნაგები. უფრო მნიშვნელოვანი შენობებისათვის (კარიბჭე, გალავანი, ეკლესია) გამოყენებულია სუფთად დამუშავებული ქვა და მაღალხარისხოვანი დუღაბი.

1971 ჩატარებული არქეოლ. გათხრების დროს გამოვლენილი მასალიდან აღსანიშნავია შუა საუკ. ბრინჯაოს ჭრაქი, კარგად დამუშავებული კლდის ქვა, რ-ის ვიწრო შუბლზე ნუსხახუცურით შესრულებული ერთსტრიქონიანი წარწერაა ამოკვეთილი.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ნ ი თ ლ ა ნ ა ძ ე ლ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ. და სხვ.
ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები, წგ.:
არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972.

რ. რამიშვილი
